ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის საქალაქო სამსახურს

AR11027610 წარმოების ფარგლებში, მოთხოვნილია კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმების ფარგლებში, განმცხადებლის მიერ ატვირთულია არქიტექტორ შოთა შოშიტაშვილის მიერ 2022 წელს გაცემული თანხმობა.

თუმცა, მოგახსენებთ, რომ შესათანხმებლად წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში რეალურად ხორციელდება არა შოთა შოშიტაშვილის, არამედ, არქიტექტორ ეკატერინე აბაკელიას მიერ წარმოდგენილ პროექტში კორექტირება, რაზეც არ არის გაცემული ავტორის თანხმობა.

აღნიშნულ გარემოებას ადასტურებს ის ფაქტი, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების არსებითად განსხვავდება 2020 წელს შეთანხმებული პროექტის დროს დამტკიცებულ ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და რეალურად ეფუძნება არქიტექტორ ეკატერინე აბაკელიას მიერ შექმნილი პროექტის მაჩვენებლებს. შესაბამის ველშიც, კორექტირებას დაქვემდებარებულ პროექტად მითითებულია შემდეგი - პროექტის ბრძანების ნომერი: 5857381; პროექტის ბრძანების თარიღი: 03/21/2023. შესაბამისად, რეალურად განმცხადებელი ითხოვს არა 2020 წელს, არქიტექტორ შოთა შოშიტაშვილის მიერ მომზადებული პროექტის კორექტირებას, არამედ არქიტექტორ ეკატერინე აბაკელიას მიერ მომზადებული პროექტის კორექტირებას.

ამდენად, გთხოვთ, გაითვალისწინოთ აღნიშნული გარემოება და არ შეითანხმოთ წარმოდგენილი პროექტი არქიტექტორ ეკატერინე აბაკელიას თანხმობის გარეშე.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არსებითად იგივეა, რაც ეკატერინე აბაკელიას მიერ მომზადებული პროექტით იყო გათვალისწინებული. გარდა ამისა, მოთხოვნილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. რეალურად, განმცხადებელი ერთი მხრივ, აცხადებს, რომ პროექტი არის იგივე რაც 2020 წელს იყო შეთანხმებული, ხოლო მეორე მხრივ, მოთხოვნილი აქვს არსებითად გაზრდილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების დამტკიცება, რაც ადასტურებს, რომ 2020 წელს არსებული პროექტის კორექტირება არ ხორციელდება განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

პატივისცემით,
ზურაბ ბაჩიაშვილი
24 აპრილი, 2024

Zurabi Bachiashvili 20001018263
Digitally signed by Zurabi Bachiashvili
Date: 2024.04.24 19:00:56